

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,  
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,  
ფყვილებით და ჭაბუბით ბუბთის  
გაფანა ცუელა უკადრისმბაჭე  
უსამაგლესია.



**დაარსებულია**  
1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 2012 წელი.  
№238 (7114)

# რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## როდის მოეღება ბოლო თქვენს ყელყელაობასა და ბრახაბრუხს?! 5

### რიყის ტერიტორიაზე ჩამარხული „კაღღის თავი“ 2



### თურმე ქართველი „ჯეიმს ბონდი“ გაბვიშიფრავს?! 3

ფასთა საოცარი სხვაობა  
არაფერს გეუბნებათ, იმანობო?

რომელ წარსულს მისტირის  
ცუდმოკრივე ბოზონიქა?

ჩვენი ბაბუას ჩხრიალებს,  
ფრანგებისა კი - კაკალიც არა?! 3

### 6 ქართული ლიბერალ-ფაშიზმი შვანის მკვლელობის „ბესაპრავებლად!“



### ნართგეული ქონების პატრონები პროკურატურაში ჩივიან 7


### რატომ უნდა დავპაპატივროთ დამნაშავენი? 4



### ვინ და როგორ ინაწილებდა „ჯეოსელის“ წილებს 3

### 8 ახალი მთავრობა უინარჩუნებს კავშირებს დასავლეთთან, მეგრე ამავე დროს განაგრძობს კავშირებს მოსკოვთან

### „სიტინო“, „აიაქსო“, „ფერარი“, ბაღარჩენილ სიცოცხლესა და გაფლანგულ ნიჭზე 9



კანონმდებელი

უზენაესი სასამართლოს წევრს უფლებამოსილებას გადასცემს პარლამენტი

უზენაესი სასამართლოს წევრს უფლებამოსილებას გადასცემს პარლამენტი...

უზენაესი სასამართლოს წევრს უფლებამოსილებას გადასცემს პარლამენტი...

კანონმდებლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს...

საკანონმდებლო ინიციატივა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირინე იმერლიშვილის ინიციატივით...

გამოძიება

რიყის ტერიტორიაზე ჩაბარებული „ქაღალის თაყი“

უზენაესი სასამართლოს საგამოძიებო სამსახური ლაშა მატყარიასა და დავით საყვარელიძის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს...

საკითხთან დაკავშირებით, ასევე, უნდა დაიკითხოს იმავე კომისიის ყოფილი წევრი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი, მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე...

უწყება საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩაბარდება საქართველოს პარლამენტის კანცელარიაში, - ნათქვამია განცხადებაში...



საკითხთან დაკავშირებით, ასევე, უნდა დაიკითხოს იმავე კომისიის ყოფილი წევრი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი, მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე...

ბრალი

თარგამაძის ჩე გეგაროვა რუსეთში არ გამოუვიდა

რუსეთში საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძის მიერ რუსეთში მასობრივი არეულობის დაფინანსების დამადასტურებელი მასალა აღმოაჩინა, - ამის შესახებ საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია ნათქვამი...

იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა ვარაუდი აღნიშნული პირების საცხოვრებელ სახლებში გამოძიებისთვის საინტერესო საგნებისა და დოკუმენტების არსებობის შესახებ, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე სამივე მათგანის ბინაში ჩხრევა ჩატარდა...

მთავრობიდან მიღებული დაფინანსებით მასობრივი არეულობის ორგანიზებისა და დაგეგმვის მიზნით აღიქმება. საუბარია ვიდეორეგისტრირებულ ფორმებში და რეგისტრირებულ ფორმებში „ლიდერის გივი თარგამაძისთან შეხვედრას ასახავს...

რის ფასად დაგვიჯდა?

ღმერთო, დაგვიჯარა „მეგობრებისგან“

„საბარტომილ“ რუსეთთან ალიანსის კანდიდატი ხდება, რაც მას ამერიკასთან მეგობრობის ფასად დაუჯდება“ - ასე, როგორც იტყვიან, ნერტილი და მძიმე - უაპელაციოდ განაცხადა პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ყოფილმა მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში და აშშ-ს ყველა ადმინისტრაციის მუდმივმა და ჩრდილოეთში იდეოლოგმა ზიგნევე ზუზინსკიმ ამას წინააღმდეგობის კონგრესში ვერა-ნიული კავშირის პერსპექტივებზე საუბრისას, რაც, დროსა და სივრცეში, საეჭვოდ დაგვიჯარა რუსეთ-საქართველოს დიალოგის დაწყების რეალურ შესაძლებლობას აბა-შიძე-კარასინის ფორმატში...

ვერ და არ მიუღია ქართველ მენტალობას, როგორც ნაცების „სულ რაღაც“ 9-წლიანი ფაშისტური ტირანიის შემთხვევაში, რომლის დროსაც ქუჩებში გვერდებდნენ, ციხეებში გვანამებდნენ, ცოცხებით გვაუბატიურებდნენ, მოკლდნენ, ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკში გვაცხროვებდნენ და, მიუხედავად ამისა, ჩვენი ამერიკელი მეგობრები საქართველოს დემოკრატიის შექმნას უნდოდნენ...



ღმერთო, რუსეთთან ალიანსის კანდიდატობა ამერიკის მეგობრობის ფასად, ამაზე არ ვისაუბრებ. პირიქით, ის გავეისწინოთ, თუ რის ფასად დაუჯდა საქართველოს ამერიკასთან „მეგობრობა“... გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში რომ ეროვნული მთავრობის დამოუკიდებლობა, რუსეთზე არანაკლები წვლილი ამერიკასაც მიუძღვის, არა მგონია, სადავო იყოს...

სოლო 1 ოქტომბრის შემდეგ მაქსიმალურად ხელი შეუწყო ნაცებს, რათა პარლამენტში რაც შეიძლება მეტი მანდატი აეღოთ და აქედან არის სწორედ ნაცბანდის მითითებული 40%, რაც ქვეყნის დესტაბილიზაციის რეალური საფრთხის წყაროა, თორემ რეალურად, ნაცების ფაშისტურ პარტიას ბარიერის გადალახვის პრობლემა ჰქონდა...

კონფლიქტის ზონა

ე.წ. სამხრეთ ოსეთი მსოფლიო ყველაზე რეპრესიული საზოგადოებების რიცხვში მოხვდა

Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, რომელშიც მსოფლიოს ყველაზე რეპრესიული ქვეყნები და ტერიტორიები შევიდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთი მსოფლიოს ყველაზე რეპრესიულ საზოგადოებათა შორის მოხვდა...

სი, უზუბეკეთი, თურქმენეთი, ჩინეთი, სირია, ლიბია, საუდის არაბეთი, ჩრდილოეთ კორეა და სადავო ტერიტორიები - ტიპიური და დასავლეთ საპარა...

ბას, პრესის თავისუფლების შეზღუდვას, პოლიტიკური მოტივით დაბრკობებებს, წამებას, კორუფციას, სექსობრივ უთანასწორობას, დევნას რელიგიური, კულტურული ან ეთნიკური ნიშნით...

მოსხენებაში ვრცელად განიხილავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც, ექსპერტების აზრით, დაშინებისა და ძალადობის ატმოსფეროში ჩატარდა...

- ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკაზე რუსეთი დომინანტურ გავლენას ახდენს. როგორც ამბობენ, 2011 წელს, რეგიონში საკვანძო სამთავრობო პოზიციებზე, პრემიერ-მინისტრის პოსტის ჩათვლით, ინიშნებოდნენ რუსები, რომელთა კანდიდატურასაც მოსკოვი იწონებდა...



















ვინისაჟი



„ფიროსმანი – 150“: სიცოცხლის ფართა ზეიმი

დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლისთავს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ქართული კულტურის საიამაის ნამუშევართა მეტად მასშტაბური გამოფენა „ფიროსმანი 150“ მიუძღვნა, რომელიც გასულ პარასკევს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში საზოგადოების წარმომადგენელთა და უცხოელი სტუმრების თანდასწრებით გაიხსნა.

საზეიმო ცერემონია, რომელიც ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის გამორჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობით შედგა, შესავალი სიტყვით საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ გახსნა. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხოშტარია, კინორეჟისორი გიორგი შენგელაია და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი.

საიუბილეო გამოფენაზე ნიკო ფიროსმანის 108 მხატვრული ტილოა წარმოდგენილი. პირველად მის შემოქმედებას ფართო საზოგადოება 1913 წელს მოსკოვში გამართულ ავანგარდისტთა გამოფენაზე გაეცნო. აღსანიშნავია, რომ „ფიროსმანი – 150“ გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული მხატვრის ნამუშევართა ყველაზე დიდი გამოფენაა. მე-20 საუკუნეში ნიკო ფიროსმანის მხატვრული ტილოების ნახვის შესაძლებლობა უცხოეთის მრავალი ქვეყნის, მათ შორის, პოლონეთის, უკრაინის, უნგრეთის, ლიტვის, ბელარუსის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, კოლანდიის, ინგლისის, თურქეთისა და სხვათა ხელოვნების ტრფიალთ ჰქონდათ.

„ფიროსმანი 150“-ის გამორჩეული ნიშანი ისიცაა, რომ მის ნამუშევრებთან ერთად გამოფენის მხატვრული უნიკალური ფოტომასალის გაცნობის შესაძლებლობაც ექნება, რომელზეც მხატვრის დროინდელი თბილისის მისი საყვარელი და ფერწერულ

ტილოებში ჩვენამდე მოტანილი უბნები, თანამედროვეები და მათი ყოფა აღბეჭდილი. ასევე, წარმოდგენილია დიდი ფერმწერის ცხოვრებასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საპრეზენტაციო ხასიათის სხვადასხვაენოვანი წიგნები, ბროშურები, პერიოდული და ვიდეომასალები.

უაღრესად საინტერესო, მიმზიდველი გამოფენის კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი ისაა, რომ ფიროსმანთან ერთად დამთვალიერებელს, ასევე, შესაძლებლობა აქვს, იხილოს იმ თაობის ქართველ მხატვართა ნამუშევრები, რომლებმაც მის მსგავსად ევროპული მოდერნიზმის იდეები გაიზიარეს. ვერნი-საჟუე ფიროსმანის ნახატების გვერდით ლირსეული ადგილი უკავიათ დავით კავაბაძის, ლადო გუდიაშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, შალვა ქიქოძისა და კირილე ზდანევიჩის მხატვრულ ტილოებს.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოფენის პერიოდში, რომელიც სამ თვეს გასტანს, სხვადასხვა ასაკის ხელოვნების მოყვარულზე გათვლილი მრავალფეროვანი პროგრამები განხორციელდება, რომელთა ფარგლებში ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი გიორგი ხოშტარია კოლეგებთან ერთად ფიროსმანის ცხოვრებას და შემოქმედებაზე საჯარო ლექციებს წაიკითხავს. საგანმანათლებლო პროგრამით, ასევე, გათვალისწინებულია კინოფილმ „ფიროსმანის“ ავტორთან, კინორეჟისორ გიორგი შენგელაიასთან შეხვედრა.

მეტად სასიხარულო და საამაყოა ის გარემოება, რომ იუნესკოს გენერალური კონფერენციის 36-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ნიკო ფიროსმანის 150 წლის იუბილე იმ დონის ძიებათა ნუსხაშია შეტანილი, რომელთა აღნიშვნაში წლებულს და გაისად ეს ავტორიტეტი საერთაშორისო ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას.

ოთარ ტურაბალიძე ელგუჯა ნადირაშვილის ფოტო.

სსოფსა სიცოცხლა

სულ ცხოვრების დაწყებას აპირებდა...

„მგელაზე დიდი ფუფუნება ადამიანებთან ურთიერთობის უნარია“. გეზიუპერი

ამ ფუფუნებით იცოცხლა, იცხოვრა და იღვანა შალვა დავითაშვილმა, კომპოზიტორმა, საზოგადო მოღვაწემ, სამაგალითო მუშაობამ, მამამ და მეგობარმა. შემოქმედებით თუ პიროვნულ წარმატებას დიდად უმადლიდა თავის საყვარელ პედაგოგს, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს. ხშირად იგონებდა მას, და ერთგული იყო მანესტროს შეგონების: „ვინც დაიზარა, ვერ გაიხარა“. თავის პროფესიაზე შეყვარებული, იგი წარმატებულად უთავსებდა შემოქმედებით მოღვაწეობას საზოგადო საქმიანობას. იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორთა კავშირის პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული ღირსების ორდენით, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.



რექტორად. ეამაყებოდა, რომ ემსახურებოდა დიდი კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს. ჩვენ ერთი თაობის ვიყავით და ხშირად ესაუბრობდით. იმდენი გეგმები ჰქონდა, იფიქრებდი, ეს კაცი თავიდან აპირებდა ცხოვრების დაწყებას.

საოცრად ხალისიანი და იმედიანი, ბოლო დროს მოწყენილი ჩანდა, საუბარში ხშირად, სპონტანურად ჩაურთავდა პოეტ მიხეილ ქვლივიძის ლექსის სტრიქონებს: „სიცოცხლე თავდება, სიცოცხლე თავდება, მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ“. იგი გონიერი ადამიანი იყო, და, ვფიქრობ, გრძნობდა რალაცის მოახლოებას, რაშიც ახლობლებს კი არა, თავსაც არ უტყუებოდა.

ერთი წელია, რაც ჩვენ შორის აღარ არის ბატონი შალვა. იგი დაღლილი და ვალმოხდილი მშვიდად განისვენებს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი ეთერ სალინაძე

სურათში: შალვა დავითაშვილი და ალექსი მაჭავარიანი (მარცხნივ).

გოდერძი კუბრაგა, ბელა მაკალათია, გია კუცია, სათუნა კუბრაგა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნეზიან ჭეშმარიტი ქართველის, აბაშელისათვის საყვარელი პიროვნების არსან (ალექო) როჩიას გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. რეზო და რუსუდან გაგუები ღრმა მწუხარებით იუნეზიან ოჯახის ახლო მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების ალექო როჩიას გარდაცვალებას და თანაუგრძობენ მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და კოლეგებს.



საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება 2012 წლის 17 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ №10 ობიექტზე (ქ. ხაშურის ტერიტორიაზე, ბორჯომის ქ. №14-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამენარმეო დანიშნულებით) აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განცხადება შემოვიდა ა/წ 11 დეკემბერს, აუქციონი გაიმართება ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში ა/წ 14 დეკემბერს 12 საათზე. აღნიშნულ ობიექტზე განცხადებების მიღება შეწყდება აუქციონის გამართვის წინა სამუშაო დღეს.

ინფორმაცია რუსმა სამხედროებმა 63 წლის გივი ჩხიკვაძე დააკავეს. რუსმა სამხედროებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე 63 წლის გივი ჩხიკვაძე დააკავეს. გივი ჩხიკვაძე სოფელ კირბალის მკვიდრია. იგი ორშაბათ საღამოს სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიჩხს აგროვებდა. მისი თანასოფლელების განცხადებით, ჩხიკვაძე რუსმა სამხედროებმა დააკავეს. დაკავებულების ნათესავების თქმით, ჩხიკვაძე ჯერ სოფელ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალში. ოსურ მხარეს ჩხიკვაძის დაკავებასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გაუფრცვლებია, თუმცა, სავარაუდოდ, გივი ჩხიკვაძეს ე.წ. საზღვრის გადაკვეთას ედავებინა. სოფელ კირბალის მცხოვრებლების თქმით, ბოლო სამი თვის განმავლობაში რუსმა სამხედროებმა სოფელ კირბალის უკვე მეოთხე მკვიდრი დააკავეს. 2008 წლის აგვისტოს ომიდან დღემდე კი დაკავებული კირბალელთა რაოდენობა 30-ს აჭარბებს. როგორც გივი ჩხიკვაძის ახლობლები ამბობენ, სამართალდამცავები საქმის კურსში არიან მომხდართან დაკავშირებით, ისინი სოფელში უკვე იმყოფებოდნენ და ოსურ მხარესთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამასთან, სამართალდამცველებს ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუუქმებიათ.

კულოსავით!

წუსელ დემეტრე დაბადებულა!

შესანიშნავ ახალგაზრდა წყვილს - ანა შარაშენიძეს და გომბა წულაიას გულითადად ვულოცავთ მეოთხე შვილის - ნანატრი ვაჟის შექმნას.



პატარა დემეტრეს სახით რიგით მეხუთე, მაგრამ პირველი ვაჟკაცი შვილიშვილის შექმნას ვულოცავთ ასევე ჩვენი გაზეთის მეგობარს, შესანიშნავ პიროვნებასა და მოქალაქეს ჯამბულ წულაიას.

„სრ“ სარედაქციო კოლეგია

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყვინჯავთ ვახუსეუმიანს



1 იანვრიდან ტაძართვალიერებები აღდგება!!!

პრეზიდენტის მიერ ტექნიკური დათვალიერების გაუქმება დროებითი იყო და 2013 წლის 1 იანვრიდან პრეზიდენტის მიერ მიღებული კანონი სავალდებულო გახდება.

ოძრუაშვილმა ახალაიას აბინა

ბედის ირონიით, ოქრუაშვილი და ახალაია ციხეში ერთ ფლიგელსა და ერთ სართულზე იმყოფებიან.

„ახალი თაობა“

რა დაუთქვამა საძარტველოს რუსეთთან ურთიერთობის „ნორმალიზაცია“

აშშ რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ინტეგრაციის საფარქვეშ საბჭოთა კავშირის ახალი ანალოგის შექმნის საფრთხეზე საუბრობს, რომელსაც სავარაუდოდ ან „საბაჟო კავშირი“ ან „ევრაზიის კავშირი“ ერქმევა.

„რეზონანსი“

უცხოური გაზეთიდან

ნუმეროლოგია ბარანტია არ არის

ბიზნის იქნებ არც დაფიქრებულა იმაზე, რომ XXI საუკუნის ბოლო „ლაშაზი თარიღი“ სწორედ დღესაა - 12.12.2012.

ბოლო წლებში მოსკოველ ახალგაზრდებში ახალი ტრადიცია დამკვიდრდა - ისინი რიცხვთა ლამაზი შესამების დღეებში ცდილობენ ოჯახის შექმნას, რომლებიც მათ შორის ბედნიერად ითვლება.

ერთ დღეში 1012 ქორწილი, ჩვეულებრივ, არა ოთხშაბათისთვის, არამედ უფრო პარასკევისთვის, ან შაბათისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ტრადიციულად ქორწინების დღეებითაა ცნობილი.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ასეთ ლამაზ დღეებში შეუღლებულები, თურმე, სხვა დღეებში შეერთებულებზე უფრო ხშირად განქორწინდებიან ხოლმე.

ინფორმაცია

ბარდაბანში კელაგობები გაიფიცნენ

ბარდაბანში 12 საჯარო სკოლის პედაგოგები გაიფიცნენ. 80-მდე პედაგოგი გუშინ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეიკრიბა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მასწავლებლები ქალაქ გარდაბანსა და გარდაბნის მიმდებარე სოფლებში უფასო ავტობუსის გაუქმებას აპროტესტებდნენ.

პედაგოგთა ცნობით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მათ განუცხადა, რომ 12 დეკემბრიდან 2013 წლის დასაწყისამდე ავტობუსით მგზავრობა უფასო აღარ იქნებოდა და მათ მგზავრობის ღირებულების გადახდა თავადვე მოუწევდათ.

გაფიცული მასწავლებლები ამბობენ, რომ ორი კვირის განმავლობაში ავტობუსს 640 ლარის სანავი სჭირდება, რაც საკმაოდ მიზეზული თანხაა და მისი გამოყოფა ბიუჯეტს არ უნდა გასჭირვებოდა.

პედაგოგებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხურცილავა და გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ფეიქრიშვილი შესვდნენ.

როგორც მათ განაცხადეს, გარკვეული გაუგებრობა მოხდა და სვალიდან გარდაბანსა და მის მიმდებარე სოფლებში უფასო ტრანსპორტი აღდგება და პედაგოგებს უფასო ტრანსპორტი კვლავ მოემსახურება.

ინფორმაციის

კადრი



რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ანაკლოტავი

ბრიზაბას, რომელიც კარიერის ფსკერზე მუშაობდა, შეატყობინეს, სახელფასო ავანსი მოიტანესო.

ორი ტიპი ერთმანეთს შესვდა სანატორიუმის ეზოში.

მე ისევ ჩემი წყლულით ჩამოვდი, - წუნუნებს ერთი.

მე კი ამჯერად ცოლი სახლში დავტოვე.

გულახდილად მითხარი, რა არის შენი სანუკვარი ოცნება? - ეკითხება ერთი ბანდიტი მეორეს.



ძარცვო და შიგ ჩემი სიდედრის თითების ანაბეჭდები დავტოვო.

- ხედავ, ეგერ ძალიან მაგარი მამაკაცი რომ მოდის, ძალიან ლამაზი და სოლიდური? - ეუბნება ერთი მოდელი გოგო მეორეს.

- მერე რა?

- იგი მე გავხადე მილიონერი.

- როგორ?

- მანამდე იგი მილიარდერი იყო.

ორი ტიპი ქალებზე საუბრობს. ერთი თვის ცოლს აქებს:

- ჩემი ცოლი ერთნაირად მაგარია სამზარეულოშიც და საწოლშიც.

- კი, მაგრამ როგორ ასწრებს?

- საწოლი სამზარეულოში დავუდგი.

ავტორთა საპურადლოვოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მთწილი) პერმსპიანის) ქ. 19

გამომცემელი: შპს „თანამდებობა“-საჯარო „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

ua(უა) 070 4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგოლია 599 36-00-35